შემუშავებული დიზაინი, მაღაზიის გარე ფასადზე არსებულ დეკორატიულ სვეტებსა და სხივებზე იქნება სწორედ დამონტაჟებული (იქნება მთლიანი, სწორი ზედაპირი). 1 და 2 ფოტოებზე არსებული წყლის მილი (pvc-პოლი ვინილ ქლორიდი (ასეთი მილი სამზარეულოდან, სააბაზანოდან და სხვ. კანალიზაციის მილს უერთდება) აბრის უკანა მხარეს დარჩება და იქნება დაცული. გარე ფასადზე არსებული სვეტის სიღრმე 48სმ-ია. ჩვენი მხრიდან დასამზადებელი აბრისა და ფასადის საფარის სიღრმე 30 სმ იქნება. უკანა მხარეს დარჩენილი 15 სანტიმეტრიანი თავისუფალი სივრცე, დამაგრდება ნაწილებად დამზადებული ლითონის „კარკასებით“ და დამონტაჟდება ფასადის საფარის უკანა ზედაპირზე. არსებული წყალგამყოფი მილის სისქე 10 სმ-ია და ფასადის უკან დარჩება. წყალგამყოფი მილის სანიაღვრე ნაწილი (მიწაზე დაშვებული) ფასადის პარალელურად იქნება. მთლიანი ფასადის საფარის მოპირკეთების შემდეგ ზემოთ დარჩენილი თავისუფალი სივრცე (სიცარიელე) ალუმინის კომპოზიტური პანელით დაიფარება. ასეთი საფარით წყალგამყოფი მილის სანიაღვრე ნაწილი შესაბამისი ზომაზე მოიჭრება და წყალგამყოფი (pvc) მილი იქნება დაცული. ზედა საფარი ხრახნებითა და წყლის არხებით დამაგრდება. საჭიროების შემთხვევაში წყალგამყოფი მილის მოხსნა, ცვლილებების განხორციელება იქნება შესაძლებელი აღნიშნული საფარს მარტივად მოხსნის საფუძველზე.

პროექტი ატვირთულია PDF ფაილის სახით.